ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

NOSCE TE IPSUM

საქართველო, ქ. თბილისი 0162, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი: 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებლის
სრულუფლებიანი წარმომადგენლის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 01-00/28

ქ. თბილისი 15. 11. 2013

„უნივერსიტეტის სკოლების (ფაკულტეტების), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის, ენების ცენტრის, ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებელი ცენტრის დებულებების დამტკიცების შესახებ" უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის 2013 წლის 21 აგვისტოს №01-00/14 ბრძანებით დამტკიცებულ „ენების ცენტრის დებულებაში" ცვლილების შეტანის შესახებ

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, ამავე უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2013 წლის 11 ნოემბრის დადგენილების (სხდომის ოქმი №8) ენების ცენტრის ხელმძღვანელის ოთარ მათეშვილის მოხსენებითი ბარათის (№1/1941, 29.10.2013) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „უნივერსიტეტის სკოლების (ფაკულტეტების), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის, ენების ცენტრის, ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებელი ცენტრის დებულებების დამტკიცების შესახებ" უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის 2013 წლის 21 აგვისტოს №01-00/14 ბრძანებით დამტკიცებულ „ენების ცენტრის დებულებაში" და დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ცენტრის საქმიანობის წარმართვის მიზნით, ცენტრის ბაზაზე შექმნილია კოლეგიური წარმომადგენლობითი ორგანო - მეთოდსაბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან: ცენტრის ხელმძღვანელი, უნივერსიტეტის ყველა სკოლის (ფაკულტეტის) თითო წარმომადგენელი, *ხარისხის უზრუნველყოფისა და საქმისწარმოებისა და სასწავლო*

პროცესის რეგულირების სამსახურების თითო წარმომადგენელი, ცენტრის მიერ მოწვეული სხვადასხვა უცხო ენის მოწვეული სპეციალისტები;"

2. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს; საქმისწარმოებისა და სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახურს; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნების მართვის, ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, სოციალურ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის სკოლების (ფაკულტეტების) დეკანატებს; ენების ცენტრს; საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული რესურსების რეგულირების სამსახურს;

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

უნივერსიტეტის დამფუძნებლის

სრულუფლებიანი წარმომადგენელი,

მეუფე იაკობი (იაკობიშვილი)